პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 36 (3520)

21 თებერვალი, 1968 წ. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## მაღალი წოდება — გრენობლის გმირებს

ოლიმპიურ ჩემპიონებს — ტრამპლინიდან მხტომელ ვ. ბელოუსოვს, ჰოკეისტებს ვ. ბლინოვს, ე. ზიმინს, ე. მიშაკოვს, ი. მოისეევს, ი. რომაშევსკის, ბიატლონისტებს — ნ. პუზანოვს, ა. ტიხონოვს, ვ. გუნდარცევს, ვერცხლის მედლების მფლობელებს — ტ. ფუკსა და ა. გორელიკს მიენიჭათ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

## ტელეტაიპის სტრიქონები

◆ ოსლო, 20 თებერვალი. ნორვეგიის ციგურაობის ფედერაციამ დააკომპლექტა სპორტის ამ სახეობის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ეროვნული გუნდი. ნაკრებში შევიდნენ: ოლიმპიური ჩემპიონი ფრედ ანტონ მაიერი, გრენობლის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი მ. ტომასენი, აგრეთვე, პ. ვ. გუტორმსენი, ს. ე. სტიანსენი და ბ. ტვეტერი. ჩემპიონატი დაიწყება 24 თებერვალს, გეტებორგში,

◆ ლოს-ანჟელოსი, 20 თებერვალი. 3 დიდოსტატის საჭადრაკო მატჩ-ტურნირში ყაიმით დამთავრდა შტეინ-რეშევსკის გადადებული პარტია. II ტურში საბჭოთა დიდოსტატი შეხვდა ვ. ჰორტს. ბრძოლა თავიდანვე მშვიდობიანად წარიმართა. შემდეგ ჰორტმა ხელთ იგდო ინიციატივა და პაიკი მოიგო. ცაიტნოტში ჩეხოსლოვაკიელმა მოჭადრაკემ ვერ გამოიყენა უპირატესობა. გადადებულ პოზიციაში შტეინს ყაიმის შანსები აქვს.

◆ **ვიარეჯო,** 20 თებერვალი. მოსკოვის „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელთა გუნდი წარმატებით გამოდის აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მეოთხედფინალში მისი მეტოქე იყო იტალიის „რომა“. გაიმარჯვეს ბურევესტნიკელებმა — 5:2.

◆ **რიო-დე-ჟანეირო, 20 თებერვალი. ბრაზილიელმა მოცურავემ ჟოზე სილვიო ფიოლამ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. მან ბრასის სტილით 100 მეტრი 1.6,4-ში დაფარა. ეს შედეგი 0,3 წამით უკეთესია საბჭოთა სპორტსმენ ვ. კოსინსკის მიღწევაზე.**

●

დიდებული სანახავი იყო გრენობლის ყინულის სასახლე ზამთრის X თამაშების დახურვის დღეს. საზეიმო ცერემონიალის კულმინაციას წარმოადგენდა თამაშების ალმის დაშვება ოლიმპიური ჰიმნის ხმაზე, ოლიმპიური ცეცხლის ჩაქრობა და ისიც, დოფინეს პროვინციის ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა გოგონებმა სამ იაპონელ კოლეგას ამდენივე ალისფერი ვარდი რომ გადასცეს. ეს იყო ერთგვარი ესტაფეტა — მომავალი ოლიმპიადა ხომ იაპონიის ქალაქ საპოროში ჩატარდება.

სურათზე: საზეიმო ცერემონიალი ყინულის სასახლეში.



## ბორჯომელთა წარმატება

**ბაკურიანი, 20 თებერვალი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სამთომოთხილამურეთა ტურნირის დამთავრების შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა სამთო სამჭიდში შეჯიბრების შედეგები. ვაჟებში გ. აბრამიშვილის (თბილისი) უპირატესობა აშკარა იყო, მის თანაგუნდელ ქალს მ. თვაურს კი უფრო ძნელი ბრძოლის გადატანა მოუხდა. საბოლოოდ მან გიგანტური სლალომის, სპეციალური სლალომისა და სწრაფდაშვების ჯამში 34,12 საჯარიმო ქულა მიიღო. მომდევნო ადგილებზეც თბილისელი სპორტსმენები — ნ. ომიაძე და ნ. ფალიანი გავიდნენ.

აბრამიშვილის მთავარი მეტოქე იოსებ ნასყიდაშვილი იყო, მაგრამ იგი სპეციალურ სლალომში ჩამორჩა. პირველმა საბოლოოდ 3,10 საჯარიმო ქულა მიიღო და ჩემპიონობა გაინაღდა. ამ სახეობის მეორე პრიზიორმა, ბორჯომელმა სპორტის ოსტატმა შ. კოზანაშვილმა თბილისელ სპორტსმენზე 10,4-ით მეტი საჯარიმო ქულა მიიღო, III პრიზიორი რ. აკოფოვი (ბორჯომი) კი 148,64 ქულით დაჯარიმდა.

ტურნირის ბოლო დღეს მოეწყო ესტაფეტები და შეჯამდა საქართველოს წლევანდელი პირველობის საბოლოო შედეგები. ვაჟები I ჯგუფში 4X10-კმ-ზე ასპარეზობდნენ, II ჯგუფში — 3X10-კმ-ზე. ქალებს ორივე ჯგუფში ერთნაირი დისტანცია (3X5 კმ) ჰქონდათ გასავლელი.

ვაჟთა შეჯიბრებაში თავიდანვე თბილისის გუნდი დაწინაურდა. ი. ნასყიდაშვილმა I ეტაპი 41 წუთსა და 45 წამში დაფარა. ამით ლიდერობა ხელთ იგდეს თბილისელებმა, მაგრამ II და III ეტაპებზე გორბაჩოვმა და ამნიაშვილმა წყალში ჩაყარეს ნასყიდაშვილის მონაპოვარი. შეჯიბრება მოიგო ბორჯომის გუნდმა (გ. სანაკოევი, ა. ქუმარიტაშვილი, რ. მაკიევი, ლ. სოლოიანი) — 2:55.30. თბილისის გუნდმა ბოლო ეტაპზე კინაღამ II ადგილიც გაუშვა ხელიდან, — მესტიელმა ზ. გულბანმა თანაგუნდელების დანაკარგი (5 წუთი) აანაზღაურა და მხოლოდ რამდენიმე წამი არ ეყო, რომ თავისი კოლექტივი II ადგილზე გაეყვანა.

II ჯგუფში პირველობა მოიგო ქუთაისის „ტრიომ“ — 2:27.40. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აჭარისა და ბოგდანოვკის გუნდები.

ქალთა ესტაფეტაში რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვეს თბილისელებმა (ნ. ბალაშვილი, თ. ნაკანი, ქ. კეხბა) — 1:21.30. ბორჯომის გუნდმა ჩემპიონთან თითქმის 10 წუთი წააგო და ამდენივეთი მოუგო III ადგილზე გასულ მესტიელებს. ქალებში საუკეთესო შედეგი აჩვენა კეხბამ — 23.57,0.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო ბორჯომის რაიონის ნაკრები — 6 საჯარიმო ქულა. ბორჯომელებმა I ადგილები დაიკავეს ბიატლონში, ტრამპლინიდან ხტომაში, ორჭიდში და სათხილამურო რბენაში. სამთო სახეობებში ისინი II ადგილებზე გავიდნენ. საერთო ჩათვლაში II ადგილზე გასულმა თბილისის გუნდმა საბოლოოდ 11 საჯარიმო ქულა მიიღო. თბილისელები მხოლოდ სამთო სახეობებში პირველობდნენ, ბიატლონსა და რბენაში კი II ადგილები დაიკავეს. მესტიის ნაკრებმა, რომელიც I ჯგუფში III ადგილზე გავიდა, 13 საჯარიმო ქულა მიიღო.

II ჯგუფში ყველას ქუთაისელებმა აჯობეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ლენტეხისა და ამბროლაურის გუნდები.

ო. ბელაშვილი.

## სპორტული ამბები

● **მოსკოვი,** 19 თებერვალი. ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად შვეციაში გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან: მეკარეები — პშენიჩნიკოვი, კრამარენკო, რუდაკოვი; მცველები — აფონინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ანიჩკინი, ისტომინი, ლევჩენკო; ნახევარმცველები — საბო, მედვიდი, ესკოვი; თავდამსხმელები — ჩისლენკო, სმოლნიკოვი, ნოდია, მალოფეევი, ასათიანი.

● **პარიზი, 19 თებერვალი. გფრ-ში ჩატარებული ამხანაგური საერთაშორისო მატჩების შემდეგ სსრ კავშირის ხელბურთელთა ნაკრები საფრანგეთში ჩამოვიდა. პირველი მატჩი ამ ქვეყნის ნაკრებთან საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 19:18.**

● **ბერლინი,** 19 თებერვალი. გერმანელი მძლეოსანი გოგონა რ. შმიდტი აქ გამართულ შეჯიბრებაში 184 სმ სიმაღლეზე გადახტა. ეს შედეგი მეორეა მძლეოსნობის ისტორიაში.

● **ნიქოზია,** 19 თებერვალი. კვიპროსის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მეექვსე შესარჩევ ჯგუფში გამოდის, აქ შეხვდა შვეიცარიის გუნდს და დაამარცხა იგი ანგარიშით 2:1. მაგრამ მოპოვებული ორი ქულა კვიპროსელებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. ჯგუფში I ადგილზე გავიდა და მეოთხედფინალში მოხვდა იტალიის გუნდი. მისი მეტოქეები იყვნენ შვეიცარიის, რუმინეთისა და კვიპროსის ფეხბურთელები.

● ვიარეჯო (იტალია), 19 თებერვალი. აქ გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირის პირველი მატჩი. მოსკოვის „ბურევესტნიკმა“ ფრედ დაამთავრა შეხვედრა რომის ფეხბურთელებთან — 0:0. შეჯიბრებაში მონაწილეობს 16 გუნდი, რომელთაგან 8 უცხოურია.

● ლოზანა. 19 თებერვალი. როგორც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ თათბირის შემდეგ გამოაცხადა, მაისის თვეში აქ გაიმართება ძიუდოისტების ევროპული ჩემპიონატი.

● პარიზი, 19 თებერვალი. ჭაბუკ ჩოგბურთელთა არაოფიციალურ ევროპულ ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი 25 ქვეყანამ განაცხადა. ნახევარფინალში მოსახვედრად ზოგიერთმა გუნდმა შესარჩევი მატჩები უნდა ჩაატაროს. სსრ კავშირის გუნდი პირდაპირ მეოთხედფინალშია დაშვებული. მისი პირველი მეტოქეა შვეციის ნაკრები. შეხვედრა მოეწყობა 18–21 ივლისს, გფრ-ში.

## საერთაშორისო შეჯიბრებაზე

**1-2 მარტს ქალაქ ტორონტოს დახურულ სტადიონზე გაიმართება მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი სპორტსმენები. კანადაში გაემგზავრებიან უძლიერესი საბჭოთა მძლეოსნებიც. დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნულია საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. სანაძე.**

## მეხიკოში რასისტები ვერ გამოვლენ

თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა არ შეასრულებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომელიც ზანგი სპორტსმენების დისკრიმინაციის წინააღმდეგაა მიმართული, მისი გუნდი მეხიკოს ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ეს გრენობლში გამართულ სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჟან ვესტერჰოფმა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა უმეტესობამ დაგმო რასიზმის პოლიტიკა სპორტში, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ადგას. მაგრამ ამ კომიტეტში დღესაც არის ხალხი, რომელიც ცდილობს არ გაამწვავოს ეს საკითხი, საბოლოოდ არ გაწყვიტოს კავშირი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოლიმპიურ კომიტეტთან. ამ „განხეთქილების საშიშროებაზე“ უკვე ილაპარაკა აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დუგლას ფ. რობიმ. მისი აზრით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ურთიერთობაში უკვე იგრძნობა გარკვეული პროგრესი და ეს სჯობს საბოლოო განხეთქილებას. ამ აზრის პირველწყაროს დადგენა ძნელი არ არის. დუგლას ფ. რობი კომპრომისისკენ მიგვითითებს და რასისტებთან კავშირის გაწყვეტა არ სურს, რადგან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მტკიცე პოზიცია არც აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტისთვისაა ხელსაყრელი, — სპორტში დისკრიმინაციის პრობლემა ხომ არც ამ ქვეყანაშია გადაჭრილი. როგორც ცნობილი გახდა, ზანგმა და ებრაელმა მძლეოსნებმა უარი თქვეს აშშ-ს ერთ-ერთ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, რადგან ნიუ-იორკის მძლეოსნური კლუბი რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკას იცავს. როგორც ფრანს-პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუმრად მყოფმა საბჭოთა მძლეოსნებმა მხარი დაუჭირეს ამ პროტესტს და ასპარეზობაში არ ჩაებნენ.

სპორტი, რომელიც ადამიანებს თიშავს, არ შეიძლება ოლიმპიური მოძრაობის მონაწილე იყოს. სწორედ ეს აზრი გამოთქვა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის ბოლო რეზოლუციაში, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის შესახებ მიიღო.

ტასი

# ერის ჯანმრთელობისთვის ზრუნავდნენ

## 1900-1917 წლების ქართული პედაგოგიური აზროვნება

### სასკოლო ფიზიკური აღზრდის შესახებ

გიორგი ნიკოლაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შესანიშნავი ნაშრომები უძღვნეს აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა, პროფ. გ. ჭოღოშვილმა, ა. კაიშაურმა. საყურადღებოა ს. ძალანიშვილის ცნობებიც და ა. შ. მაგრამ ამ შრომებში ლაპარაკია უმთავრესად იმ ღვაწლზე, რაც გ. ნიკოლაძემ დასდო მათემატიკურ მეცნიერებათა განვითარებას, აგრეთვე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს. ნიკოლაძის თეორიული შეხედულებები ადამიანის ფიზიკურ განვითარებაზე განიხილა პროფ. გ. ჭოღოშვილმა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რამდენადაც მისი წერილი სხვა ძირითად ამოცანას ისახავდა.

გიორგი ნიკოლაძემ, როგორც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის შესანიშნავმა მცოდნემ, რუსეთის იმპერიის ფართო სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო 1911 წელს რუსეთის „სოკოლების" I ყრილობაზე წაკითხული მოხსენებით. ეს მოხსენება მალე დაიბეჭდა პეტერბურგის ჟურნალ „სოკოლში", აქედან კი გადაბეჭდა ფიზიკური აღზრდის საკითხისადმი მიძღვნილმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა ჟურნალმა.

წერილში ნათლად იგრძნობა ავტორის მტკიცე და შეუპოვარი ხასიათი. მისი მთავარი დანიშნულება იყო, რომ გადასინჯულიყო „სოკოლის" იმ რუს მოღვაწეთა პოლიტიკა, რომელთა აზრითაც რუსული „სოკოლის" წევრები მხოლოდ სლავების წარმომადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ. ნიკოლაძის მთავარი ბრალდება ამ ხელმძღვანელთა მიმართ ის იყო, რომ მათ არ ესმოდათ „სოკოლური" ტანვარჯიშული მოძრაობის საზელმწიფოებრივი ხასიათი და დანიშნულება, წინ აყენებდნენ და მხარს უჭერდნენ ტომობრივ პრინციპს.

გიორგი ნიკოლაძე შენიშნავს, რომ სოკოლური ტანვარჯიში ერთნაირად ზრდის და ავითარებს ყოველგვარი ხელობის ადამიანის ფიზიკურსა და სულიერ ძალებს. მაგრამ მისი აზრით, სოკოლური მოძრაობის მიზანი ისიც არის, რომ რუსმა თავი იგრძნოს რუსად, პოლონელმა — პოლონელად, უკრაინელმა — უკრაინელად, ხოლო ყველამ ერთად — განუყოფელი რუსეთის მოქალაქედ.

გ. ნიკოლაძე, შესაძლოა, ამ შემთხვევაში ერთიანი, მონარქიული რუსეთის სახელმწიფოსთვის „ზრუნვის" დროშით პირველ რიგში რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირე ხალხების, მათ შორის ქართველების ინტერესების დაცვასა და გადარჩენას ცდილობდა, მაგრამ, სულ ერთია, ასეთი ნაბიჯი, ბრძოლის ასეთი გზა მაინც მცდარად უნდა ჩაითვალოს.

ფიზიკური აღზრდის თეორიისთვის მეტი ღირებულება აქვს გ. ნიკოლაძის მეორე მოხსენებას, რომელიც მან წაიკითხა ეკატერინოსლავის (დნეპროპეტროვსკის) ტანვარჯიშული საზოგადოების იუზოვკის ფილიალური განყოფილების დამფუძნებელ კრებაზე 1914 წლის 31 მარტს. მოხსენება მალე გამოქვეყნდა რუსულ ენაზე.

ამ მოხსენებაში წამოყენებული დებულებანი და პრინციპები გიორგი ნიკოლაძემ დააზუსტა, გააფართოვა, სრულყო და ქართულ ენაზე გამოაქვეყნა 1918-1920 წლებში.

ამ წერილში გიორგი ნიკოლაძე „სოკოლების" იდეას „სოკოლების" მოძრაობას ისეთ საგნებსა და მოვლენებს აკუთვნებს, რომელთა სიდიდე და მნიშვნელობა ყოველთვის როდი ემორჩილება სიტყვიერ გადმოცემას. ამავე დროს იგი აღიარებდა, რომ უკანასკნელ ხუთ წელში ფიზიკური განათლების საქმე თანადროულობის მოწინავე ხალხებში — შვეციელებში, ფრანგებში, გერმანელებში და ა. შ. წინ წავიდა გიგანტური ნაბიჯებით, რამდენადაც ეს ხალხი იწყებდა იმის გაგებას, რომ გონების, სულის შემოქმედება გაცილებით ძლიერია, კეთილშობილურია, სასარგებლოა და ინტენსიურია ჯანმრთელ, ყოველმხრივ განვითარებულ და ლამაზ ორგანიზმში, ვიდრე უძლურსა და ავადმყოფში. ნიკოლაძე განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ფიზიკური და გონებრივი განათლების ჰარმონიული გათანაბრების მნიშვნელობას.

არსებული ტანვარჯიშული სისტემებიდან და ორგანიზაციიდან ნიკოლაძეს ჩეხური მიაჩნდა ყველაზე შემძლე და ენერგიულ ხელოვნებად სხეულისა და სულის ჰარმონიის შერწყმული იდეალების აღორძინების გზაზე, რამდენადაც ავტორის ხელისუფლების მიერ ძლიერ შევიწროებული ჩეხური ტანვარჯიშული სისტემის წარმომადგენლები დაუძლეველნი გახდნენ მთავრობათა მიერ წახალისებულ და სუბსიდირებულ საზღვარგარეთულ ორგანიზაციებთან შეჯიბრებებში.

ნიკოლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმასაც, რომ ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების შემდეგ ფიზიკურ აღზრდას ასეთი გაქანება აღარ ჰქონია. იგი „სოკოლების" მოძრაობის წარმატებას ხედავდა იმ გარემოებაში, რომ ეს მოძრაობა ღრმად ეუფლებოდა ხალხის მასებს და ამაღლებდა მის განწყობილებას, რაც სათაკვე საერთო სახალხო აღფრთოვანებისა.

გიორგი ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ მოძრაობებს ასევე მეცნიერულად სწავლობდნენ ჩეხებიც. მაგრამ ისინი ცდილობდნენ ულამაზესი მოძრაობა რაც შეიძლება კოხტად შესრულებულიყო და სწამდათ, რომ ამით ხერხემალიც გასწორდებოდა და კუნთიც უკეთ გავარჯიშდებოდა. მას მიაჩნდა, რომ ტანვარჯიშის შვეციური სისტემა წარმოადგენდა „სოკოლების" სისტემის ერთ დარგს, ესე იგი, „სოკოლების" სისტემა შეიცავდა შვეციურსაც და, მაშასადამე, იყო უფრო სრული და ყოვლისმომცველი სისტემა.

ტანვარჯიშის ამერიკულ სისტემას გ. ნიკოლაძე საყვედურობდა რეკორდების გამოდევნებას, ამ სისტემით ვარჯიშის დროს სპორტსმენს მხოლოდ კუნთების ერთი წყება აქვს ზედმიწევნით განვითარებული და ამით დარღვეული და შეფერხებულია ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების პრინციპი.

გერმანული „ტურნერული" ტანვარჯიში გ. ნიკოლაძის აზრით თითქმის არ განსხვავდება „სოკოლური" ტანვარჯიშისგან. მაგრამ გერმანელებიც მხარს უჭერენ და მფარველობენ ერთ-ერთ რომელიმე იარაღზე ვარჯიშს, სადაც, მართალია, აღწევდნენ „საკვირველ დახელოვნებას", მაგრამ ამით მოვარჯიშის სხეული, ამერიკელებისა არ იყოს, ცალმხრივად ვარჯიშდება, აქაც ირღვევოდა ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების პრინციპი. ნიკოლაძე გერმანულის მსგავს სისტემებად მიიჩნევს ფრანგებისა და ბელგიელების ტანვარჯიშულ სისტემებსაც.

ნიკოლაძე, მართალია, დიდი პატივისმცემელი და მომხრე იყო ტანვარჯიშის „სოკოლების" სისტემისა და ხოტბას არ იშურებდა მის სასარგებლოდ, მაგრამ მის იდეალს მაინც წარმოადგენდა ტანვარჯიშის ძველი ბერძნული სისტემა, უფრო სწორად, ისეთი სისტემა, რომელიც ძველი ბერძნული ქანდაკებების მსგავსი სხეულის აღზრდას მოიტანდა.

„ძველი ბერძნული ტანვარჯიში, — აღნიშნავდა იგი, — ახლაც ყველა ერებს მიუღწეველ ოცნებად აქვთ დასახული, როგორც ტანის ყოველმხრივ ჰარმონიულ გასავითარებლად, ისე მთელი ხალხის ზნეობრივ აღორძინებისთვის"... ნიკოლაძის აზრით, ტანვარჯიშის ძველ ბერძნულ სისტემას ყველაზე უფრო უახლოვდებოდა „სოკოლების" ტანვარჯიში, რომელიც განვითარების „სწორ და ბუნებრივ გზაზე დგას და იმედია, ოდესმე ძველ ბერძნულსაც აღარ ჩამორჩეს".

„სოკოლების" ტანვარჯიშული სისტემის მთავარ დადებით მხარედ ნიკოლაძეს მიაჩნდა ის გარემოება, რომ იგი არჩევდა ბუნებრივსა და ულამაზეს მოძრაობას და ხელს უწყობდა ეს მოძრაობა ლამაზად შესრულებულიყო. მაგრამ, ამავე დროს, რაგინდ ლამაზიც უნდა ყოფილიყო ესა თუ ის მოძრაობა, მოვარჯიშეს მაინც ეკრძალებოდა გადაჭარბებული ვარჯიში, რათა ხელი არ შეშლოდა ტანის სილამაზესა და მოქნილობას.

„...სილამაზის გრძნობის საფუძველი ხომ სიმხნის ყაირათი (ანუ ენერგიის ეკონომია) არის. უფრო ლამაზად ის მოძრაობა გვეჩვენება, რომელიც ამა თუ იმ შედეგის მისაღწევად ნაკლებ ჯაფას ხარჯავს. ამიტომაც ეს სილამაზე აგებული, არაპირდაპირი გზა ჯანმრთელობისკენ სხვა ყველა გზაზე უფრო მოკლეა და სახალისო. ამასთან ერთად, ესთეტური გრძნობების განვითარება კი დიდად სასარგებლო ნაყოფი მოაქვს ერისათვის. სწორედ ამ ბუნებრივ საფუძველზე ემყარება საშუვარდნო ტანვარჯიშის ასეთი გასაოცარი ხალხის მიმზიდველი ძალა და ეს არის მისი მომავლის გაძლიერების უტყუარი საბუთი".

ამრიგად, ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების გზაზე, ამა თუ იმ შედეგის მისაღწევად, გ. ნიკოლაძის აზრით ვარჯიშისთვის უნდა გამოინახოს ყველაზე ბუნებრივი და ლამაზი მოძრაობა, რომელიც ამასთან ყველაზე ნაკლებ ენერგიას („ჯაფას"), მოითხოვს. ეს გზა ყველა დანარჩენზე მოკლე, სახალისო და ესთეტიურიცაა.

იმ იდეალს, რომელიც გიორგი ნიკოლაძეს ფიზიკური აღზრდის ძველ ბერძნულ სისტემაში ეგულებოდა, მართლაც მხოლოდ ასეთ პრინციპზე აგებული ფიზიკური აღზრდის სისტემა მოიტანდა.

მას შემდგომი წინსვლისთვის აუცილებლად მიაჩნდა ტანვარჯიშის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გზით განვითარება, მისი მეცნიერებად და ხელოვნებად გადაქცევა.

უპასუხებდა რა ერთ-ერთი სტატიის ავტორს, რომელიც ცდილობდა ჩრდილი მიეყენებინა „სოკოლების" მოძრაობისთვის, ნიკოლაძემ ამავე დროს წინდახედულება გამოიჩინა. მან აღნიშნული წერილის ავტორს წინადადებაც კი მისცა წევრად შესულიყო „შევარდნულ" საზოგადოებაში და იქ, თუ სურდა, გაეხსნა ტანვარჯიშის თუნდაც შვეციური განყოფილება, რითაც ერს გაცილებით მეტს შემატებდა, ვიდრე მისი წერილი.

ეს იყო ბრძოლის სწორი გზა, სრულიად განსხვავებული იმ გზისგან, რომელსაც ასეთ შემთხვევაში იდგებოდნენ ჩეხური „სოკოლების" წარმომადგენლები.

გ. ნიკოლაძე თავის შეხედულებებს პრაქტიკულადაც ახორციელებდა პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში (აგრეთვე, საქართველოში — რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ) მუშაობისა და მოღვაწეობის დროს.

მაგალითად, იგი უარყოფდა რომელიმე იარაღზე ვარჯიშისადმი საგანგებო მიდრეკილებას, დიდ ყურადღებას აქცევდა ყველა იარაღზე თანაბარ ვარჯიშს, თავს იკავებდა ხშირი სპორტული შეჯიბრებებისგან, რათა ხელი არ შეშლოდა მეცადინეობათა განრიგის დაცვასა და სხვ. (როგორც ამას იუწყება ი. ლორთქიფანიძე).

გიორგი ნიკოლაძის შეხედულებანი ფიზიკურ აღზრდაზე დიდად ანგარიშგასაწევია. მათ დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ გიორგი ნიკოლაძე კარგად იცნობდა თავისი დროისთვის არსებულ ტანვარჯიშულ და სპორტულ ლიტერატურას, თეორიებს და შეხედულებებს ფიზიკური აღზრდის შესახებ. ამიტომ, ბუნებრივია, მის მსჯელობაში ზოგჯერ ჩანს ამ ლიტერატურის გავლენა.

უდავოა, რომ გიორგი ნიკოლაძე ფიზიკური აღზრდისგან მოითხოვდა მშვენიერების, ესთეტიკურის ისეთი მწვერვალების დაპყრობას, რომელთა მიღწევაც ბერძენი მოქანდაკეების გენიამ შეძლო.

მათი ქანდაკებების შექმნაში დიდი როლი უნდა ეთამაშნა ბერძენი ხალხის ლტოლვას სხეულის იდეალური სრულყოფისაკენ, მაგრამ პირველ ყოვლისა, ეს ნაყოფია იმდროინდელი ხელოვნების ჯადოქართა გენიისა, რომელმაც აღმოაჩინა ადამიანის სხეულის ნაწილების შეფარდებათა თავისებური ჰარმონია და თავის მხრივ ამ ჰარმონიის მიღწევისკენ უჩვენებდა გზას კაცობრიობას.

აქედან გამომდინარე, ფიზიკური აღზრდის იდეალად უნდა მივიღოთ არა ბერძნული ფიზიკური აღზრდის სისტემა, არამედ სისტემა, რომელიც ფიზიკურ აღზრდას გზას დაუსახავს სხეულის ნაწილების აღნიშნული ჰარმონიის მიღწევისკენ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჰარმონიის მიღწევა ვერასოდეს იქნება მთლიანად და აბსოლუტურად დამოკიდებული მხოლოდ ფიზიკურ აღზრდაზე.

გიორგი ნიკოლაძის ჩვენთვის საინტერესო დარგში მოღვაწეობის მეორე მხარეზე ცაირფას ცნობებს იძლევა პროფ. გ. ჭოღოშვილი. იგი წერს: „ანატომიური ალბომებით შეიარაღებული, მისი დის — ფიზიოლოგ პავლოვის მოწაფის, თამარის და აგრეთვე სხვა სპეციალისტების დახმარებით, სპორტულ დარბაზებში ხანგრძლივი დაკვირვებისა და ცდების ჩატარებით, გიორგი დაჟინებით ეძებდა, როგორც თვითონ ამბობდა „ჯერ კიდევ უცნობ, მათემატიკურად ზუსტ კლიტე-გასაღებს კუნთებ-სახსრების მეცნიერულად სწორი განვითარებისა, რომლის საშუალებით ჩვენი მოვარჯიშე-ფიზკულტურელი ძველი საბერძნეთის ათლეტთა სხეულის განვითარებას უკან მოიტოვებდა".

არ შეიძლება ამ სტრიქონების წაკითხვისას გონებაში არ აღდგეს დიდი რუსი პედაგოგის კ. უშინსკის მიერ სწორი ფიზიკური აღზრდისადმი წაყენებული მოთხოვნა, რომ იგი უნდა გამომდინარეობდეს ანატომიის, ფიზიოლოგიის, პათოლოგიის ღრმა ცოდნიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება უფერული, უსარგებლო და ზოგჯერ საზიანოც კი. უშინსკი აცხადებდა: „რადგან არ ვფლობდით სათანადო მონაცემებს მედიცინიდან, საერთოდ თავი შევიკავეთ, რომ ჩვენს წიგნში მოგვეცა რჩევა ფიზიკური აღზრდის შესახებ, გარდა იმ საერთოსი, რისთვისაც საკმაო საფუძვლები გვქონდა". უშინსკის აზრით, პედაგოგიკა ჯერ კიდევ უნდა დალოდებოდა მედიცინის სპეციალისტი პედაგოგების სამსახურს.

გიორგი ნიკოლაძემ, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცოდა, რომ დიდი რუსი მეცნიერი ფიზიოლოგის, აკადემიკოს ი. პავლოვის მოძღვრება ადამიანისა და ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ, სწავლება, რომ კუნთური გრძნობა არის მთავარი ხელმძღვანელი მოძრაობის კოორდინაციის შეგნებაში, იყო მომცემი იმ „კლიტე-გასაღებისა", რომელსაც იგი ასე დაჟინებით ეძებდა. ეს, ცხადია, იცოდა მისმა დამ, პავლოვის მოწაფე თამარმაც, რომელიც ამავე დროს შესანიშნავი სპორტსმენი, თავისი ძმის ერთგული და უნარიანი თანაშემწე იყო ყველა მსგავს წამოწყებაში.

პავლოვის მოძღვრებაზე დაყრდნობა ფიზიკური აღზრდის რთული ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლის დროს იმაზე მიუთითებს, რომ ქართული პედაგოგიური აზროვნება დასახელებული რთული პრობლემების გადაჭრისას სწორ გზას ადგა, ხოლო ამ აზროვნების წარმომადგენელნი — გიორგი და თამარ ნიკოლაძეების სახით, იყვნენ ერთ-ერთი პიონერები, რომლებმაც კარგად შეიგნეს და სცადეს კიდეც ი. პავლოვის მოძღვრების სახელმძღვანელოდ გამოყენება ამ დარგში.

გიორგი ნიკოლაძის ეს შესანიშნავი თეორიული შეხედულებანი ეძღვნება ფიზიკურ აღზრდას საერთოდ და გამიზნულია ტანვარჯიშში უმაღლესი მიღწევების მოსაპოვებლად, მაგრამ ამავე დროს იგი გათვალისწინებულია უშუალოდ სასკოლო ფიზიკური აღზრდის საკითხების გადასაწყვეტადაც.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს გ. ნიკოლაძის ფასდაუდებელი ღვაწლი ქართული ტანვარჯიშული, სპორტული ტერმინოლოგიის შექმნაში. 1910-1911 წლებში მიროსლავ ტირშის „ზოგადი თანაწყობის" თარგმნით (წიგნი გამოიცა მხოლოდ 1921 წელს). მან სათავე დაუდო არა მარტო მეცნიერულად დასაბუთებული ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შექმნას, არამედ სპორტული ლიტერატურის თარგმნასა და შექმნასაც ქართულ ენაზე. ასეთი ტერმინოლოგიისა და ლიტერატურის გარეშე ქართული ტანვარჯიშული სკოლის, ფიზიკური აღზრდის თანამედროვე ქართული სისტემის შექმნაზე ლაპარაკიც შეუძლებელი იქნებოდა.

ნათელია, რომ ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და, მით უმეტეს, სასკოლო ფიზიკური აღზრდის შესახებ მუდამ ჰქონდა თავისი სათქმელი. ეს სათქმელი, მართალია, მუდამ ერთნაირად სწორი, სრული და დახვეწილი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, არასოდეს და მაშასადამე, არც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში არ ითმენდა, რომ ქართული სკოლა ფიზიკური აღზრდის გარეშე დარჩენილიყო.

1910-ან წლებში ეს აზროვნება ფიზიკური აღზრდის საკითხებზე ფიქრს, შრომასა და ამაგს ძირითადად ორი მიმართულებით წარმართავდა. პირველს სათავეში ედგა სახელოვანი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე, ილია ფერაძესთან და სხვებთან ერთად, მეორეს — გიორგი ნიკოლაძე.

ორივე ეს მიმართულება მიჰყვებოდა ერთ მაგისტრალურ და პედაგოგიურად გამართლებულ გზას, რომლის საბოლოო მიზანი იყო პედაგოგიურად და მეცნიერულად დასაბუთებული როგორც ზოგადი, ისე სასკოლო ფიზიკური აღზრდის სისტემისა და მისი თეორიის შექმნა, სასკოლო ფიზიკური აღზრდის ამ მაგისტრალური ხაზის გამოკვეთისა და გამოჩენისთანავე, რაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის დასასრულისთვის უკვე აშკარა იყო, გაირკვა, რომ დანარჩენი მიმართულებანი მხოლოდ მისი შემადგენელი ნაწილებია, რომ ამ უკანასკნელმა მიმართულებებმა დაკარგეს ის დამოუკიდებელი თეორიული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც, მიუხედავად ცალმხრივობისა, მანამდე გააჩნდათ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, უამისოდ ქართული პედაგოგიური აზროვნების ეს მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი დარგი წინ ვერ წავიდოდა.

**ზ. შერაზადიშვილი,**

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

დასასრული. იხ. „ლელო", №№ 220, 237. (1967 წ.), № 6 (1968 წ.).

# რატომაც არ გაიცინებს?

ზუგდიდელი მშობლები განათლების განყოფილების სპორტსკოლაში გასტუმრებული შვილის უვნებლად დაბრუნებას შესთხოვენ მამაზეციერს. ლოცვა-ვედრება მით უფრო ცხოველდება, რაც უფრო ხშირში ხდება ამ სკოლის დარბაზში ვარჯიში. მწვრთნელები იძულებული არიან, რომ მეცადინეობისთვის განკუთვნილი დრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟსაც დაუთმონ.

...თურმე ზოგიერთ ბავშვს ფეხი აუჩქარებია დარბაზის სახიფათო ზონაში. ცულლუტები დამპალ იატაკში „ჩაფლულან". ამას ყველა შეუწუხებია, გარდა შეფებისა. სპორტსკოლაში მეცადინეობა დღესაც ძველებურად გრძელდება. და დახტკბი, სული და გული, თუ ხარ ბალეტის ტრფიალი! მომავალი სპორტსმენები ისე ნარნარად დაგოგმანებენ, უკეთესს სანახაობას ვერსად იხილავ. ოღონდ ესაა, ხორჩები დროდადრო კედლებსა და ჭერს შესცქერიან დამფრთხალი თვალებით. ეს პირობითი რეფლექსია, — ბავშვებს უეცარი ბათქაშცვენის წყალობით გამოუმუშავდათ. აქა-იქ, სადაც ფეხქვეშ მყარი ნიადაგი იგრძნობა, „ძიძგი-ძიძგი მამალოს" თამაშობენ განახურებლად. აბა, დუმელში გამოზოგვით შეკეთებული თითო ნაჭერი შემა ისე საცოდავად ხრჩოლავს, ვის გაათბობს?

ეგ კიდევ არაფერი. ხომ გაგიგონიათ, ხარბი კაცი რომ სარგებელში შევა, კვნესას მოუმატებსო. ზოგიერთს დიდხანს არ აძლევს მოსვენებას ის ამბავი, რომ შუა ქალაქში, სპორტსკოლის გვერდით ადგილი „ცდებოდა," ადგნენ და ამ ადგილზე ყველაზე მოდური, კოპწია სასადილო წამოჰიმეს. მაგრამ მალე ჭამაში მოდის. სასადილოს საწყობიც ხომ ესჭირდებოდა? აკვნესდნენ ხარბები და სპორტსკოლის ერთ-ერთი ოთახი ამოიღეს მიზანში. მალე შტანგა და მისთანანი გარეთ გამოყარეს, ოთახიდან დარბაზში გასასვლელი კარი საგულდაგულოდ აჭედეს და გარედან ცხრაკლიტული შეაბეს. იქ, სადაც წინათ ძალოსნები იკაჟებდნენ კუნთებს, ახლა ბახუსს დაუდევს ბინა და ულვაშებში ეცინება. რატომაც არ გაიცინებს?

**თ. გაჩეჩილაძე.**

ზუგდიდი.

# ამჯერად — XIX ოლიმპიური...

დამთავრდა გრენობლის ზამთრის X თამაშები, დაცარიელდა საფრანგეთის ამ წარმტაცი ქალაქის ყველა სპორტული სარბიელი, ოლიმპიადის მონაწილეებმა თავიანთ ქვეყნებს მიაშურეს და სპორტული საჭურველი ახალი სეზონის დადგომამდე თაროზე შემოდეს.

ახლა მეხიკოს ჯერი დადგა. 8 თვის შემდეგ აქ გაჩაღდება მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა ასპარეზობა, ამჯერად ზაფხულის სპორტულ სახეობებში. კვლავ ვნახავთ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მოსახვეჭად გამართულ დაძაბულ სპორტულ ბრძოლებს.

„ლელოს" მკითხველებს ვთავაზობთ წერილს XIX ოლიმპიური თამაშების დედაქალაქზე, რომელიც ჩვენი თხოვნით გამოგვიგზავნა პოლონური გაზეთის „პშეგლონდ სპორტოვის" რედაქციამ.




## ზოგიერთი რამ ისტორიიდან

ამ მრგვალ, საუცხოო ნახატებითა და ორნამენტებით შემკულ, კერპის გამოსახულებით დამშვენებულ ნიშანს ყველა ცნობს. იგი XIX ოლიმპიური თამაშების სიმბოლოა.

გამოსახულება აცტეკების მზის ღმერთია, ნახატი წელიწადის 4 დროს გამოხატავს, წრეთა ცალკეული ნაწილები 20-დღიან მონაკვეთებს აღნიშნავს. ყველაფერი ეს კი, როგორც ალბათ უკვე მიხვდით, აცტეკების კალენდარია. ბაზალტის უზარმაზარ კლდეზე გამოკვეთილი, იგი დაახლოებით 25 ტონას იწონის და დიამეტრით 360 სანტიმეტრია. კალენდარი 1760 წელს იპოვნეს მექსიკის დედაქალაქის ცენტრში. ახლა მისი ნახვა შეიძლება მექსიკის ანთროპოლოგიურ მუზეუმში, რომლის დირექტორიც გახლავთ ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე პედრო რამირეს ვასკესი.

კარგი იქნებოდა ორიოდე სიტყვა მიგვეძღვნა იმ ქვეყნის გერბისთვის, რომელიც 3 კვირის განმავლობაში მასპინძლობას გაუწევს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებს.

მექსიკის გერბზე გამოხატულია შავი არწივი, რომელიც გველს კორტნის. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ აცტეკებმა ღმერთების ბრძანებით სწორედ იმ ადგილას დააარსეს დედაქალაქი, სადაც ეს ორთაბრძოლა მოხდა. დედაქალაქს უწოდეს „ტენოჩტიტლან მეხიკო", რაც „ტენოჩის და მეხტლის ქალაქს" ნიშნავს (წყლისა და მთვარის ღმერთების პატივსაცემად). ეს მოხდა 1325 წელს; დაახლოებით 200 წლის შემდეგ, 1521 წელს ესპანელმა კონკვისტადორებმა ფერფლად აქციეს ტენოჩტიტლანი, ხოლო ორი წლის შემდეგ იგი ხელახლა აღსდგა.

ამჟამად მექსიკა მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოა. მის დედაქალაქში 6 მილიონზე მეტი კაცი, მთელი ქვეყნის მოსახლეობის ერთი მეექვსედი ცხოვრობს. ეს რიცხვი რეკორდული ტემპით იზრდება. ძალზე მაღალმა ბუნებრივმა ნამატმა უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ორჯერ გაზარდა ქვეყნის მოსახლეობა. ზრდის ტენდენცია ახლაც დიდია.

## მსოფლიოს ულამაზესი სტადიონები

„ვილა ოლიმპიკა" — ოლიმპიური სოფელი — შენდება ავენიდა ინსურგენტერიდან „პერიფერიკოს" გზაჯვარედინზე (ახალი ავტოსტრადა) გაშლილ, დღემდე ხელუხლებელ ტერიტორიაზე, დედაქალაქის სამხრეთით. აშენდება პატარა დაბა: 16 ექვსსართულიანი და 13 ათსართულიანი სახლი, კლუბი, ფოსტა, ბანკი, ფიზკულტურის დარბაზი, პრეს-ცენტრი და რასაკვირველია, სტადიონი ხარბენი ბილიკით. საცხოვრებელი სახლების თითოეულ სართულზე 4 ბინაა, 8 სამადგილიანი ოთახით, სამზარეულოთი, ორი აბაზანით, სასადილოთი და მოსაცდელით. სულ მზადაა 904 ბინა. ოლიმპიური სოფლის ბინადრები მთლად სალვათად ვერ იქნებიან, მით უმეტეს, რომ ორგანიზატორები 500 ჟურნალისტს უპირებენ აქ დაბინავებას, მაგრამ, იმედია, სასაყვედურო მათ არაფერი ექნებათ.

მექსიკის დედაქალაქი გამდიდრდება ნახევარი მილიარდი პესოს (40 მილიონი დოლარი) ღირებულების სპორტული ობიექტებითა და აღჭურვილობით, რაც მას „მსოფლიოს ულამაზესი სტადიონების ქალაქად" გადააქცევს.

მთლიანად ანაზღაურდება თუ არა გაწეული ხარჯი? „წინაოლიმპიური კვირეულის" დამსწრენი სკეპტიკურად უყურებენ ამ საკითხს. კვირეულის დროს ხარების ბრძოლას, ფეხბურთსა და ბეისბოლის მატჩებს უფრო მეტი მაყურებელი ესწრებოდა, ვიდრე მსოფლიოს ყველა კუთხის 60-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელთა შაექრობას. მხოლოდ ტანმოვარჯიშეთა გამოსვლას ჰყავდა დიდძალი მაყურებელი.

## №1 პრობლემა: კომუნიკაციის საკითხი

მართალია, ქალაქი განუწყვეტლივ შენდება და მოდერნული ხდება, იჭრება ახალი არტერიები, ხოლო ტრანსპორტის მოძრაობა ისეთი დიდი არ არის, როგორც ევროპისა და ამერიკის მილიონიან ქალაქებში, ამიტომ ძალიან დიდი დრო იკარგება ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მოსახვედრად. მაგალითად, ცენტრიდან სტადიონამდე მისვლას 1 საათი სჭირდება. ტაქსის დაჭერა პიკის საათებში კი აუსრულებელი ოცნებაა.

რა ამბავი იქნება თამაშების დღეებში, როცა მექსიკის დედაქალაქს მილიონი ტურისტი „შეესევა"? თუმცა ოლიმპიადის მასპინძლებს მდიდარი გამოცდილება აქვთ, ტურიზმი ქვეყნის სახალხო მეურნეობის რენტაბელური დარგია.

## სასტუმროების მასაჟირი

მიუხედავად ამისა, ორგანიზატორები იმედიანად არიან და ირწმუნებიან, რომ 1968 წლის ოქტომბერში საქმე არც ისე ცუდად იქნება, როგორც ახლა გვეჩვენება. მთავარი საზრუნავი მაინც სტუმრების დაბინავების საკითხია. მექსიკაში ჩამოსულნი მხოლოდ „ჩამოხტებიან" დედაქალაქში, დროის მეტ ნაწილს კი პროვინციაში გაატარებენ. მეხიკოს სასტუმროებსა და თავშესაფრებში კი მხოლოდ 56 ათასი ადგილია. სადღა დაბინაოს დანარჩენი, 150 ათასამდე სტუმარი, რომელთა ჩამოსვლასაც წინასწარ გეგმებში ვარაუდობდნენ? მდგომარეობის შემსუბუქება კერძო ბინებით სცადეს, მაგრამ ქალაქში 8000-ზე ცოტა მეტი თავისუფალი ადგილი აღმოჩნდა. დედაქალაქის მრავალი მცხოვრები ნათესავებსა და ნაცნობებს ელის პროვინციებიდან. ამიტომ იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ უცხოელი სტუმრების წინასწარ განსაზღვრულ რიცხვზე — 200.000.

ვისაც თამაშების ბილეთის შეძენა სურს, უნდა მიუთითოს დაჯავშნული ბინა. უამისოდ (და ქირის 25 პროცენტის გადახდის გარეშე) ბილეთზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომაა, რომ ბილეთების მთლიანი რაოდენობიდან (450.000) გაყიდულია დაახლოებით 200.000.

მეორეს მხრივ, თავიდან იქნა აცილებული საშიშროება, რომ თამაშების დროს ტრიბუნებზე მექსიკელებზე მეტი უცხოელები იქნებიან, როგორც ამას ზოგიერთი ევროპელი და ამერიკელი ჟურნალისტი ვარაუდობდა.

## «უკანასკნელი საათის საოცრება»

უცხოელი ჟურნალისტები ბევრს ლაპარაკობდნენ XIX ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა საქმიანობაზე. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ შეუძლებლად მიაჩნდათ ყველა ობიექტის დროულად მომზადება, რადგან მუშაობის ნელი ტემპი იმედს არ იძლეოდა.

მიუხედავად ამისა ყველაფერი დროულად გაკეთდა, მაგალითად, „წინაოლიმპიური კვირეულის" დროს საფრანგეთის გუნდს ბინები სანიმუშო წესრიგში დახვდა. ეჭვი არ არის, რომ ოლიმპიადის დაწყებისთვის ყველაფერი რიგზე იქნება. ამის გარანტიას იძლევა „უკანასკნელი საათის საოცრება", რომელზეც მექსიკელები ისე ლაპარაკობენ, როგორც ჩვეულებრივ რამეზე. მექსიკის ოლიმპიადის ბევრი ობიექტი უკვე მზადაა. ახლა მთავარი ყურადღება ოლიმპიური სოფლის მშენებლობას ექცევა.

## „მანიანა"

მექსიკელები სხვა აზრის არიან. ისინი არ ჩქარობენ. მათ ცნობილ „მანიანას" (ხვალ) არც ამჯერად დაუკარგავს მნიშვნელობა.

პროპაგანდა ახლახან გაიშალა. მაგრამ ამას მექსიკელები საფუძვლიანად, წესიერად და ზუსტად აკეთებენ. ახლა მეხიკოში ალბათ ვერ ნახავთ ავტომობილს, რომ არ ჰქონდეს წარწერა ხ ოლიმპიური რგოლით: „მეხიკო-68". გამრავლდა მექსიკის ოლიმპიური კომიტეტის გამოცემები. მაგალითად, ახალგაზრდებისათვის გამოდის ოლიმპიური ორკვირეული გაზეთი მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიღებული ახალ-ახალი ცნობებით, აგრეთვე, კომიქსი „სპორტის ვარსკვლავები". ეს უკანასკნელი მკითხველს თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიას აცნობს.

ამ ცოტა ხნის წინათ კი მექსიკა სპორტსმენებისთვის ბურუსით იყო მოცული. სიმაღლე, აკლიმატიზაცია, კვება. აი, ზოგიერთი იმ საკითხებიდან, რომლებზეც თავს იმტვრევდნენ ევროპისა და სხვა კონტინენტების სპეციალისტები. დღეს ბურუსით მოცული აღარაფერია. მთავარი პრობლემა — სხვა პირობებთან შეგუება — გადაჭრა წინაოლიმპიურ მარათონში გამარჯვებულმა გასტონ რულანტსმა: ვინც სათანადოდ არის მომზადებული, მექსიკის კლიმატისა არ უნდა ეშინოდეს. სომ არ ეშინოდა ოდესღაც დიეგო დე ორდაზს, რომელიც 450 წლის წინ ავიდა „მბოლავი მთის" მწვერვალზე პოპოკატეპეტლზე, (5452 მ ზღვის დონიდან). დღევანდელ „კონკვისტადორებს" ასეთი ჯაფა არ დაადგებათ. 1968 წლის ოქტომბერში ისინი საუცხოო ნადავლს მოიპოვებენ, სხვანაირად მიიღებენ მათ მექსიკელებიც, რომელთა სურვილია ოლიმპიადა მეგობრობის თამაშებად იქცეს.



დარბაზი 12.300 მაყურებლისთვის. აქ მოეწყობა მოკრივეთა შეხვედრები.



მეხიკოს ხედი.

# მსოფლიო ჩემპიონი თბილისში

თბილისი. სპორტის სასახლე. 19 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — სსრ კავშირის ნაკრები 77:86 (39:44)

**„დინამო“:** სხიერელი (18), ქორქია (16), ალთაბაევი (8), ნარიმანიძე (2), კაზანჯიანი (7), მაღალაშვილი (24), მამალაძე (2), ქარაბაკი, ჩიხლაძე.

**სსრ კავშირის ნაკრები:** ვოლნოვი (16), საკანდელიძე (18), კრიკუნი (11), ტომსონი (4), ანდრეევი (2), პოლივოდა (10), პოგულიაი (2), პაულაუსკასი (13), ბელოვი (6), ლიპსო (2), იურგენსონი (2), ჟარმუხამედოვი.

მსაჯები: რ. ხომერიკი და თ. ქიქოძე (ორივე — თბილისი).

კალათბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივარი უკეთესს ვერას ინატრებს: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი თბილისშია. ცხადია, სპორტის სასახლეს ურიცხვი მაყურებელი მიაწყდა. რას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ნაკრები? როგორია მსოფლიოს საუკეთესო გუნდი და რა როლს ასრულებს მასში ჩვენი თანამემამულე ზ. საკანდელიძე? ამ და კიდევ ბევრ სხვა შეკითხვაზე უნდა გაეცა პასუხი სსრ კავშირის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ გუშინწინდელ შეხვედრას.

მსოფლიოს ჩემპიონის ფიქრი ამჟამად მეხიკოსკენაა მიმართული. ნაკრები მუდამ რაიმე დიდმნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის ემზადება და იმისთვის, რომ გამუდმებულმა წვრთნამ სპორტსმენები არ გადაღალოს, მწვრთნელი დროდადრო ასვენებს მათ. სწორედ ასეთი „წუთშესვენების“ შემდეგ ეწვივნენ მომავალი „მექსიკელები“ თბილისს.

...შეხვედრა დაიწყო ისე, როგორც უნდა დაწყებულიყო. ნაკრებმა მშვიდად გაითამაშა რამდენიმე ლამაზი კომბინაცია და ანდრეევმა, ტომსონმა, კრიკუნმა, საკანდელიძემ, ვოლნოვმა სწორედ ასეთივე თანმიმდევრობით, ეფექტურად დააგვირგვინეს იერიში. დინამოელთა თამაში დასაწყისში, ცხადია, ნერვიული და ამიტომაც უფერული იყო. მაგრამ თანდათანობით მასპინძლები დარწმუნდნენ, რომ ნაკრებსაც აქვს სუსტი ადგილები და დაიწყო მეთოდური შტურმი ამ სისუსტეებზე.

პირველი ტაიმის ბოლოს თამაში გათანაბრდა, შესვენების შემდეგ კი ინიციატივა თბილისელებმა იგდეს ხელთ. სწორედ ამ მომენტში ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დავიდა, მაგრამ ნაკრები ხომ ნაკრებია და იგრძნო რა განსაცდელის მოახლოება, მან უმალ „გადართო სიჩქარე“. ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ნაკლებ ქებას არც დამარცხებულები იმსახურებენ.

ძლიერის წინააღმდეგ ყველა გაათკეცებული ენერგიით თამაშობს. ამ მხრივ არც თბილისის „დინამოს“ გუშინწინდელი მატჩი იყო გამონაკლისი. მაგრამ დინამოელებმა იმ დღეს დაამტკიცეს, რომ თუ საჭიროა, მათ კიდევ უკეთ შეუძლიათ თამაში. მით უკეთესი, შესაძლოა ნაკრებთან შეხვედრა გუნდის ხარისხობრივი ცვლილების საფუძველი გახდეს.

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 20 თებერვალი.

საქართველო (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები) 69:64 (38:28).

**საქართველოს ნაკრები:** სხიერელი (4), ალთაბაევი (16), უგრეხელიძე (12), კოვალენკო (12), მაღალაშვილი (11), გლურჯიძე (8), ქორქია (4), ლეჟავა (2).

**სსრ კავშირის ნაკრები:** ვოლნოვი (2), ლიპსო (12), იურგენსონი (6), პაულაუსკასი (9), ანდრეევი (4), პოლივოდა (6), ტომსონი (4), საკანდელიძე (6), კრიკუნი (2), ბელოვი (13).

მსაჯები: კ. კალანდაძე და ი. მირიანაშვილი (ორივე — თბილისი).

# მხოლოდ თბილისელები

ამას წინათ თბილისის ზამთრის საცურაო აუზში გაიმართა რესპუბლიკური პირველობა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში.

შეჯიბრებაში სულ 31 სპორტსმენი (11 ქალი) გამოდიოდა. მონაწილეთა სიმცირეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შემაშფოთებელია ის ამბავი, რომ თითქმის ყველა მათგანი თბილისელი გახლდათ. ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის სპორტსმენები შეიძლება იმით გავამართლოთ, რომ მათ სათანადო საწყლოსნო ბაზები არა აქვთ და ამიტომაც ვერ მოემზადნენ შეჯიბრებისათვის. მაგრამ რით უნდა იმართლონ თავი ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ტყიბულის სპორტის მესვეურებმა, სადაც შესანიშნავი ბაზებია?

ასპარეზობა არც სპორტული მაჩვენებლებით გამოირჩეოდა. ქალებიდან მხოლოდ პირველმა სამეულმა აჩვენა I თანრიგის შედეგი. ამდენივე სპორტსმენმა შეასრულა II თანრიგის ნორმა. დანარჩენები შეუფასებელი დარჩნენ. უკეთ არც ვაჟთა შეჯიბრებაში იყო საქმე. პირველმა შვიდეულმა I თანრიგის შედეგები აჩვენა, ორმა სპორტსმენმა II თანრიგისა, დანარჩენებმა კი საერთოდ არ შეაფასეს.

ტურნირის ტექნიკური შედეგები ასეთია: **ქალები** — 1. ა. კალიაგინა („განთიადი“) — 85,40 ქულა, 2. ზ. ჩეკულაევა („დინამო“) — 77,74, 3. ნ. ცოცხალაშვილი (ასკ) — 71,33; **ვაჟები** — 1. ი. კუპრიანოვი („განთიადი“) — 85,52, 2. ვ. ტოჩენიხი („დინამო“) — 85,29, 3. ს. ჩუნიხინი (თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლა) — 83,14.

გუნდურ ჩათვლაში 6 კოლექტივი მონაწილეობდა. საპრიზო სამეული ასეთია: 1. „განთიადი“ — 319,89 ქულა, 2. „ბურევესტნიკი“—222,06, 3. „დინამო“ — 163,19.

**ა. ცეხანელი.**



ამას წინათ საქართველოში სტუმრად იყო ინდოეთის განათლების მუშაკთა დელეგაცია. დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ქალაქ კოჰიმას ინსპექტორი სპორტში კ. პისეიე დიდი ინტერესით გაეცნო განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპორტული სკოლის მუშაობას (დირექტორი — სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. შავლაყაძე). იგი დაესწრო № 1 სპეციალური სპორტული სკოლის (დირექტორი ა. არჩვაძე) აღსაზრდელთა შეჯიბრებას მძლეოსნობაში.

სურათზე: რ. შავლაყაძე (მარცხნივ) და კ. პისეიე.

ფოტო ი. იუნაევისა.

# ყაიმი ნონა გაფრინდაშვილთან

ძნელია არ შედრკე ისეთ გუნდთან თამაშის დროს, როგორიც „ბურევესტნიკმა“ გამოიყვანა 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა საქალაქო სპარტაკიადაში. ეს შეჯიბრება რამდენიმე დღეა დაიწყო ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. გუნდში თამაშობენ ჩემპიონები: მსოფლიოსი — ნ. გაფრინდაშვილი, საქართველოსი — ც. კახაბრიშვილი და თბილისისა — ნ. ჩიქობავა. I ტურში ბურევესტნიკელებმა „მშრალი“ ანგარიშით (3:0) მოუგეს განთიადელებს, მაგრამ მეორე დღეს, ნორჩ მოჭადრაკეებთან (განათლების განყოფილების გუნდი) შეხვედრისას მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდნენ და ნახევარი ქულა დაკარგეს. ქულის გაყოფა თვით მსოფლიო ჩემპიონს მოუხდა. სხვათა შორის, ჩემპიონის მეტოქეს ნ. ხუბულურს მოგებაზე ფიქრიც შეეძლო იმ პოზიციაში, სადაც მან მუდმივი ქიში გამოაცხადა. III ტურში „ჩემპიონთა გუნდმა“ ისევ გაიმარჯვა 2,5:0,5. ამჯერად მან „დინამოს“ მოუგო. ამრიგად, 3 ტურის ჯამში „ბურევესტნიკი“ ერთპიროვნულად ლიდერობს — 8 ქულა.

ლიდერებს მეტოქეობას უწევს „სპარტაკის“ გუნდი (5 ქულა), რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოსა და თბილისის ექს-ჩემპიონები: ოსტატი ე. ეაკაბაძე, ქ. გოგიავა და ლ. ნაჭყებია. ჯერჯერობით გუნდი მხოლოდ ორ მეტოქეს შეხვდა — „დინამოს“ — 2:1 და განათლების განყოფილების გუნდს — 3:0.

ლიდერთა ჯგუფში არიან „ლოკომოტივი“ (4,5 ქულა) და „განთიადი“ (4 ქულა).

პირველობაში 7 გუნდი მონაწილეობს. მთავარი ბრძოლა წინაა. დღევანდელი ლიდერები ბოლო ტურებში შეხვდებიან ერთმანეთს.

**თ. ნინოშვილი.**

## რეზინის სტადიონები

წვიმა ნამდვილი უბედურებაა ფეხბურთელებისთვის და მისგან თავის დასაღწევად ესპანელებმა ახალი ხერხი მოიგონეს. მათ გადაწყვიტეს სტადიონები დაფარონ ბეტონის საფუძველზე განლაგებული კვადრატული ფილებით. თვითეული ფილა სამი ფენისგან უნდა შედგებოდეს. ქვედა მაგარი რეზინისა იქნება, შუა — ძალიან ელასტიკური რეზინისა. ზედა, ყველაზე თხელ ფენას 4-მილიმეტრიან „ბუსუსებს“ უკეთებენ, რათა თამაშის დროს ფეხი არ დაუცდეთ. ფილები ერთმანეთზე მავთულებით იქნება გადაბმული.

ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი ზამორა გვარწმუნებს, რომ რეზინის სტადიონი ბალახის სტადიონზე ძვირი არ ჯდება.

# 10 ტურის შემდეგ

თბილისის მოშაშეთა „მცირე“ პირველობის 18 მონაწილემ უკვე გადალახა შეჯიბრების „ეკვატორი“. განვლილია 10 ტური.

ბრძოლას პირველობისთვის თავკაცობს პირველთანრიგოსანი ხ. ხუციშვილი (9 ქულა), რომელმაც 8 შეხვედრა მოიგო და 2 ყაიმით დაამთავრა.

ლიდერს კვალში მიჰყვებიან გ. აპირხანოვი — 7,5, გ. მინასიანი — 7 (2), ვ. კანდელაკი — 6,5.

**ს. პახლაჯიანი,**
**პირველობის მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.**

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**

ფეხბურთი

# სპეციალისტთა აზრით

ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრები ახლა საყოველთაო ინტერესს იწვევს. გთავაზობთ ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტთა შეხედულებებს ამ მატჩების თაობაზე.

**რ. ილოვსკი (უნგრეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი):** „ქ. მოსკოვში ძალიან ძნელ მეტოქესთან შეხვედრით იწყებს უნგრეთის ნაკრებში მუშაობას. საბჭოთა ფეხბურთელების წინააღმდეგ ჩვენ ყოველთვის ცუდად გამოვიყურებოდით. ეს მსოფლიოს უკანასკნელმა ჩემპიონატმაც დაამტკიცა, როდესაც მეოთხედფინალში წავაგეთ 1:2. ეს ნაკრები გადაუჭრელ პრობლემად გადაგვექცა“.

**ფ. ალბერტი (უნგრეთის ნაკრების თავდამსხმელი):** „ევროპის ჩემპიონობის ძირითად კანდიდატებად მიმაჩნია სსრ კავშირის, უნგრეთის, ინგლისის (ან შოტლანდიის) და იტალიის გუნდები“.

**ფ. ვალკარეჯი (იტალიის ნაკრების მწვრთნელი):** „სადღეისოდ ევროპაში აღარ დარჩა ისეთი ნაკრები, რომელსაც დიდი დაძაბვის გარეშე დაამარცხებ. ვფიქრობ, ბულგარელებს მძიმე ბრძოლის შემდეგ დავამარცხებთ და გზას გავიკაფავთ ნახევარფინალისაკენ.“

**ფ. დიგოგეზი (საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი):** „მართალია, იუგოსლავიელებთან ჩვენი უკანასკნელი შეხვედრები მარცხით მთავრდება, მაგრამ ქენჭისყრით მაინც არა ვარ კმაყოფილი. მერწმუნეთ, შეიძლებოდა ბევრად უფრო უსიამოვნო მეტოქე შეგვხვედროდა. მე საერთოდ არა ვარ პროგნოზების მომხრე, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ იმედით შევცქერებ მომავალს.“

**რ. მიტიჩი (იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი):** „იოლია გეგმების შედგენა, მათი განხორციელება კი ბევრად უფრო ძნელი. ჩემი მდგომარეობა რთულდება იმით, რომ იუგოსლავიის წამყვანი კლუბები უცხოეთში საგასტროლოდ გაემგზავრნენ. თებერვალი ფაქტიურად გვეკარგება. ეტყობა, მხოლოდ 3 მარტიდან დავიწყებთ მზადებას. გადავწყვიტეთ არ მოვიწვიოთ ის იუგოსლავიელები, რომლებიც უცხოეთში თამაშობენ. მე ვფიქრობ, ფრანგებს უნდა მოვუგოთ და გავიდეთ ნახევარფინალში.“

**ს. გოჟაკოვი (ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი):** „ძნელ მეტოქესთან გვიხდება შეხვედრა. ჩვენ სრულიადაც არ გვსურდა იტალიელებთან თამაში, ფრანგებს ვამჯობინებდით. ჩემი აზრით, ინგლისელები (ან შოტლანდიელები) მოუგებენ ესპანელებს, იუგოსლავიელები ფავორიტებად მიმაჩნია ფრანგებთან შეხვედრაში. ბულგარელებმა უნდა გამოიყვანონ გათამაშებიდან იტალიელები. საბჭოთა ფეხბურთელებს ერთგვარი უპირატესობა აქვთ უნგრელებთან.“

**ქ. რამირეზი (ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):** „რა თქმა უნდა, კენჭისყრისას ბედმა არ გაგვიღიმა. ინგლისელებთანაც მეტად სახიფათო ბრძოლა მოგველის და შოტლანდიელებთანაც. თუ საქმე არჩევანზე მიდგა, ჯობია ისევ შოტლანდიელები შევხვდნენ. რაც არ უნდა იყოს, ინგლისელები მსოფლიო ჩემპიონები არიან“.

**ა. ბარჰამი (ცნობილი ინგლისელი მიმომხილველი):** „რასაკვირველია, ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. ესპანელებთან ლონდონშიც მოგვიგია და მადრიდშიც. თანაც მათი ნაკრები ახლა სერიოზულ სიძნელეებს განიცდის. მართალია, ჩვენთანაც რამდენიმე წამყვანი მოთამაშეა ტრავმირებული, მაგრამ ღირსეული შემცვლელები გვყავს. ჩვენ ახლა ბევრად უფრო გვაფიქრებს 24 თებერვლის მატჩი შოტლანდიელებთან, ვიდრე მეოთხედფინალური შეხვედრები ესპანელებთან.“



23 - 24 - 25 თებერვალი

ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი

თავისუფალ ჭიდაობაში

მონაწილეობენ: ბულგარეთის, გდრ-ის, ირანის, მონღოლეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის, აგრეთვე, საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები.

დასაწყისი: 23 თებერვალს — 12 ს. და 19 ს. 24 და 25 თებერვალს — 11 ს. და 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 უე 03956